

ხელშეკრულება N 6/ზ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი,

17 დეკემბერი, 2021 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში - შემსყიდველი), მინისტრის მოადგილის გიორგი წოწკოლაურის სახით და, მეორეს მხრივ შპს „საქართველოს ფოსტა“ (შემდგომში - მიმწოდებელი), კომერციული დეპარტამენტის უფროსის მერი ბასილაშვილის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1. შემსყიდველმა განხორციელა ელექტრონული ტენდერი (NAT210023113), „ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის შემუშავებისა და მართვის“ 2022 წლის ასიგნებების ფარგლებში, სამინისტროს საჭიროებისათვის საფოსტო და საკურიერო მომსახურებების შესყიდვაზე (CPV64110000; CPV64120000) და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული 13 281,00 (ცამეტი ათას ორას ოთხმოცდაერთი) ლარად დღგ-ს ჩათვლით (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. საფოსტო-საკურიერო მომსახურების ღირებულება, მომსახურების თითოეული სახეობის (აღწერილობა) მიხედვით, განისაზღვრება ელექტრონულ ტენდერში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტის, ფასების ცხრილის შესაბამისად, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. მომსახურების გაწევის ადგილია საქართველოს ტერიტორიის ფარგლები და საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

4.2. მომსახურების გაწევა განხორციელდება 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.3. მიმწოდებლის მიერ გზავნილის გატანა უნდა განხორციელდეს შემდეგი მისამართიდან: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N144.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 14.1. პუნქტში მითითებული ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირების მიერ მომზადებული ინსპექტირების აქტის შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (დანართი N1).

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარში.

6.2. ანგარიშსწორება იწარმოებს მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, სრულყოფილად, კეთილსინდისიერად და უნაკლოდ;

7.1.2. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში;

7.1.3. დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. დროულად განიხილოს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული მიმწოდებლის წინადადებები.

7.2.2. დროულად მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

8. მხარეთა უფლებები

8.1. მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული ანაზღაურება.

8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების კონტროლი;

8.2.2. ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურების დაცვის გარეშე, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2. ამ ხელშეკრულებაში 'ფორს-მაჟორი' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებთან და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებოდნენ ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

13.2. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

13.3. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 5%-ის ოდენობით.

13.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.5. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებენ:

14.1.1. შემსყიდველის მხრიდან - სამინისტროს ადმინისტრაციის საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი ნანი ალანია, nalania@moh.gov.ge, 577735855; სამინისტროს ადმინისტრაციის საქმისწარმოების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ირმა კუხალაშვილი, ikukhalashvili@moh.gov.ge, 577235138;

14.1.2. მიმწოდებლის მხრიდან - ირინე მულაძე, i.muladze@gpost.ge, 577182058.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურების დაცვის გარეშე, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულების ჯეროვანად შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

15.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

17. დასკვნითი დებულებები

17.1. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი ითვლება მის განუყოფელ ნაწილად და განიხილება მასთან ერთად. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ მაშინ თუ იგი შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

17.2. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

17.3. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

17.4. ხელშეკრულება შედგენილი და ხელმოწერილია ელექტრონულად (დოკუმენტზე შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დოკუმენტი დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით).

შემსყიდველი

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო
საიდენტიფიკაციო კოდი: 202486559
ქ. თბილისი, 0119, წერეთლის გამზ. N144

მიმწოდებელი

შპს „საქართველოს ფოსტა“
ს/კ 203836233
ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი 2
სს "საქართველოს ბანკი"
BAGAGE22
GE13BG0000000123286800

გიორგი წოწკოლაური
მინისტრის მოადგილე

მერი ბასილაშვილი
კომერციული დეპარტამენტის უფროსი

სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ, 2022 წლის ასიგნებების ფარგლებში განხორციელებული შესყიდვის მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ. თბილისი

-----, ----- წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრის, შემსყიდველი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი -----

და, მეორე მხრივ, მიმწოდებელი - -----

(ორგანიზაციის დასახელება)

(ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ -----

----- წლის ----- N----- ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ----- ლარს.

----- თვეში განხორციელებული მოწოდების ღირებულებამ შეადგინა ----- ლარი.

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით შესრულებულია ----- ლარი.

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

ანაზღაურებულია ----- ლარი.

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მიიღო

ჩააბარა

1. ადმინისტრაციის უფროსი

1. დირექტორი

2. პასუხისმგებელი შემსრულებელი

2.

ბ.ა.

ბ.ა.

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ, რომ შპს „საქართველოს ფოსტა“-ს მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესს.

ი. კუხალაშვილი

პრეტენდენტი: შპს "საქართველოს ფოსტა"

დანართი N1

ფასების ცხრილი

N	გაბაწევი მომსახურების დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	გამზ. ერთ.	სავარაუდო რაოდენობა (ცალი)	პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული ერთეულის ღირებულება (ლარი)	პრედენტის მიერ შემოთავაზებული ჯამური ღირებულება (ლარი)	გზავნილის ადრესატისთვის მისამართზე მიტანის ვადა (ნებმძიერ მისამართზე)
1	2	3	4	5	6	7	8
1	საფოსტო გზავნილი საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა)	მინიმალური ზომა- 90X140მმ; მაქსიმალური ზომა - 240X340მმ; მაქსიმალური სისქე -50მმ; მაქსიმალური წონა -50გრ;	ცალი	3000	3.15	9,450.00	შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის საფოსტო გზავნილის გადაცემიდან : თბილისში 1-3 სამუშაო დღის, რეგიონში 3-7 სამუშაო დღის განმავლობაში.
2	საფოსტო გზავნილი საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა)	მინიმალური ზომა- 90X140მმ; მაქსიმალური ზომა - 240X340მმ; მაქსიმალური სისქე -50მმ; მინიმალური წონა -50გრ; მაქსიმალური წონა-100გრ	ცალი	400	3.75	1,500.00	შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის საფოსტო გზავნილის გადაცემიდან : თბილისში 1-3 სამუშაო დღის, რეგიონში 3-7 სამუშაო დღის განმავლობაში.
3	საფოსტო გზავნილი საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა)	მინიმალური ზომა- 90X140მმ; მაქსიმალური ზომა - 240X340მმ; მაქსიმალური სისქე -50მმ; მინიმალური წონა -100გრ; მაქსიმალური წონა -250გრ;	ცალი	200	3.75	750.00	შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის საფოსტო გზავნილის გადაცემიდან : თბილისში 1-3 სამუშაო დღის, რეგიონში 3-7 სამუშაო დღის
4	საფოსტო გზავნილი საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა)	მინიმალური ზომა- 90X140მმ; მაქსიმალური ზომა - 240X340მმ; მაქსიმალური სისქე -50მმ; მინიმალური წონა -250გრ; მაქსიმალური წონა -500გრ;	ცალი	30	4.3	129.00	შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის საფოსტო გზავნილის გადაცემიდან : თბილისში-1-3 სამუშაო დღის, რეგიონში 3-7 სამუშაო დღის განმავლობაში.
5	საფოსტო გზავნილი საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა)	მინიმალური ზომა- 90X140 მმ; მაქსიმალური ზომა - 240X340 მმ; მაქსიმალური სისქე -50 მმ; მინიმალური წონა -500გრ; მაქსიმალური წონა-3000გრ;	ცალი	15	4.3	64.50	შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის საფოსტო გზავნილის გადაცემიდან : თბილისში 1-3 სამუშაო დღის, რეგიონში 3-7 სამუშაო დღის განმავლობაში.
6	სწრაფი ადგილობრივი გზავნილი	მინიმალური ზომა- 90X140 მმ; მაქსიმალური ზომა - 240X340 მმ; მაქსიმალური სისქე -50 მმ; წონა: 50-3000 გრ	ცალი	3	7	21.00	თბილისის ფარგლებში იმავე სამუშაო დღეს.

7	საერთაშორისო საფოსტო გზავნილი	მინიმალური ზომა- 90X140მმ; მაქსიმალური ზომა - 240X340 მმ; მაქსიმალური სისქე- 50 მმ; მაქსიმალური წონა - 50გრ.	ცალი	20	15.8	316.00	შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის საფოსტო გზავნილის გადაცემიდან ჩვეულებრივი საერთაშორისო საფოსტო მომსახურებით 14 სამუშაო დღის განმავლობაში.
8	საერთაშორისო საფოსტო გზავნილი	მინიმალური ზომა- 90X140მმ; მაქსიმალური ზომა - 240X340 მმ; მაქსიმალური სისქე-50 მმ; მინიმალური წონა- 50გრ; მაქსიმალური წონა -100გრ;	ცალი	6	31.4	188.40	შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის საფოსტო გზავნილის გადაცემიდან ჩვეულებრივი საერთაშორისო საფოსტო მომსახურებით 14 სამუშაო დღის განმავლობაში.
9	საერთაშორისო საფოსტო გზავნილი	მინიმალური ზომა- 90X140მმ; მაქსიმალური ზომა - 240X340 მმ; მაქსიმალური სისქე - 50 მმ; მინიმალური წონა - 100გრ; მაქსიმალური წონა - 250გ.	ცალი	3	41.2	123.60	შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის საფოსტო გზავნილის გადაცემიდან ჩვეულებრივი საერთაშორისო საფოსტო მომსახურებით 14 სამუშაო დღის განმავლობაში.
10	საერთაშორისო საფოსტო გზავნილი	მინიმალური ზომა- 90X140მმ; მაქსიმალური ზომა - 240X340 მმ; მაქსიმალური სისქე-50 მმ; მინიმალური წონა - 250გრ; მაქსიმალური წონა-500გრ;	ცალი	3	67	201.00	შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის საფოსტო გზავნილის გადაცემიდან ჩვეულებრივი საერთაშორისო საფოსტო მომსახურებით 14 სამუშაო დღის განმავლობაში.
11	საერთაშორისო საფოსტო გზავნილი	მინიმალური ზომა-90X140მმ; მაქსიმალური ზომა - 240X340 მმ; მაქსიმალური სისქე-50 მმ; მინიმალური წონა -500გრ; მაქსიმალური წონა-2000გრ;	ცალი	3	90	270.00	შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის საფოსტო გზავნილის გადაცემიდან ჩვეულებრივი საერთაშორისო საფოსტო მომსახურებით 14 სამუშაო დღის განმავლობაში
12	სწრაფი საერთაშორისო გზავნილი	მინიმალური ზომა-90X140მმ; მაქსიმალური ზომა - 240X340 მმ; მაქსიმალური სისქე-50 მმ; წონა : 50-2000 გრ	ცალი	2	133.75	267.50	სწრაფი საერთაშორისო საფოსტო მომსახურებით: 3-7 სამუშაო დღის განმავლობაში
	სულ					13,281.00	

შენიშვნა: 0 მე-6 და მე-7 გრაფები ივსება პრეტენდენტის მიერ;

0 სატენდერო წინადადების ფასი უნდა შეიცავდეს შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებულ, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადს; 0 მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დოკუმენტი დამოწმებული უნდა იქნას კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამით.

მერი ბასილაშვილი
კომერციული დეპარტამენტის უფროსი

ტექნიკური დავალება

საფოსტო -საკურიერო მომსახურების მოთხოვნები:

1. საფოსტო მომსახურების გაწევა ადგილობრივად (ქვეყნის შიგნით): გზავნილების ადრესატისთვის ჩაბარება უნდა განხორციელდეს მიმწოდებელის მიერ თბილისში - 1-3 სამუშაო დღის, რეგიონში - 3-7 სამუშაო დღის განმავლობაში (დღეების ათვლა უნდა დაიწყოს კურიერისთვის გზავნილის ჩაბარების მომდევნო სამუშაო დღიდან).
2. გზავნილების მოძრაობის ასახვა უნდა განხორციელდეს ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, რაზეც შემსყიდველს ექნება ხელმისაწვდომობა.
3. სწრაფი საფოსტო მომსახურება: კურიერის გამოძახება 16:00 საათამდე. 12:00 საათამდე გადაცემული გზავნილის ჩაბარება იმავე სამუშაო დღის ბოლომდე, ხოლო 12:00 საათის შემდგომ გადაცემული - მომდევნო სამუშაო დღის 12:00 საათამდე.
4. საერთაშორისო გზავნილების ადრესატზე ჩაბარება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ გზავნილის ჩაბარებიდან: ზონა N1, ზონა N2 და ზონა N3 -ში ჩვეულებრივი საერთაშორისო საფოსტო მომსახურებით - 14 სამუშაო დღის, ხოლო სწრაფი საერთაშორისო საფოსტო მომსახურებით 3-7 სამუშაო დღის განმავლობაში.
5. საერთაშორისო გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი მოწოდებული უნდა იქნას ქართულ ენაზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ჩაბარების ზუსტი დრო, თარიღი და ჩაბარებაზე ხელმომწერი პირის სახელი/გვარი გარკვევით.
6. ამანათების გაგზავნა (გატანა-მოტანა) - ადრესატისთვის ჩაბარება უნდა განხორციელდეს მომწოდებლის მიერ.
7. მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს უფასო საკურიერო მომსახურება.
8. გზავნილის ჩაუბარებლობის შემთხვევაში გზავნილი დაუბრუნდეს შემსყიდველს შესაბამისი მიზეზის მითითებით მიტანიდან - 5 სამუშაო დღის შემდეგ. საერთაშორისო გზავნილის უკან დაბრუნება გაგზავნის ღირებულებით.
9. ჩაბარებული და ჩაუბარებელი გზავნილების და ამანათების, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისოს, მოძრაობა უნდა აისახოს ელექტრონულად მომენტალურად გზავნილის უნიკალური კოდის ქვეშ, რაც მოგვცემს ინფორმაციას: გზავნილის ჩაბარების დროის, თარიღის, მიმღები პირის ვინაობის, ჩაუბარებელი გზავნილის დაბრუნების დროის და ჩაუბარებლობის მიზეზის შესახებ.
10. უნდა არსებობდეს შემსყიდველის მიერ ჩაბარების დასტურის ელექტრონულად ამობეჭვდის საშუალება.
11. შესაძლებელი უნდა იყოს გზავნილებისთვის თვალის მიდევნება ინტერნეტის საშუალებით ონლაინ რეჟიმში უნიკალური კოდის (ე. წ. თრეკინგი) მეშვეობით გზავნილის რეალურ დროში ადგილმდებარეობის დადგენის მიზნით.

საერთაშორისო გზავნილებზე – სატრანზიტო ქვეყნების ჩათვლით.
12. კონკრეტული გზავნილის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში შემსყიდველს უნდა ეცნობოს მომენტალურად.

13. გზავნილის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსყიდველს კონკრეტული გზავნილის საკურიერო მომსახურების ღირებულება, ამანათის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში - ამანათის ღირებულება.

14. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დამოწმებული უნდა იყოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/შტამპით.

შენიშვნა: ფასების ცხრილში მოცემულია მომსახურების სავარაუდო მოცულობა, რომელიც შეიძლება სრულად არ იქნეს ათვისებული. ასევე, თუ მომსახურების გაწევისას აღმოჩნდა, რომ მომსახურების ჩამონათვალიდან რომელიმე პოზიციაზე მომსახურების მოცულობა (რაოდენობა) ამოიწურა და აღნიშნული მომსახურების გაწევა დამატებით გახდა აუცილებელი, შემსყიდველის შეხედულებისამებრ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდეს ცვლილება სხვა მომსახურების მოცულობის (რაოდენობის) შემცირებით.



საქართველოს ფოსტა

№ 15-01/545
05 08 2020წ.

ბრძანება

შპს „საქართველოს ფოსტის“ გენერალური დირექტორის მიერ ხელმოწერის
უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს შპს „საქართველოს ფოსტის“ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისა და სატენდერო კომისიის წევრებისათვის ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ თანდართული წესი ამ ბრძანების N1 დანართის სახით.
2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „საქართველოს ფოსტა“-ს გენერალური დირექტორის მიერ ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ შპს „საქართველოს ფოსტის“ გენერალური დირექტორის 2019 წლის 30 დეკემბრის N15-01/799 ბრძანება.
3. ეს ბრძანება გაეცნოს ყველა დაინტერესებულ პირს და განთავსდეს შიდა საკომუნიკაციო ქსელ ინტრანეტზე.
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის 18 აგვისტოდან.

ლევან ჩიკვაძე

გენერალური დირექტორი

LLC
Georgian
Post

Digitally signed
by LLC Georgian
Post
Date: 2020.10.23
13:59:10 +04'00'

ამონაწერი

დანართი N1

დამტკიცებულია: შპს „საქართველოს ფოსტის“

გენერალური დირექტორის

05.08.2020 წ. N15-01/545 ბრძანებით

შპს „საქართველოს ფოსტის“ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისა და სატენდერო კომისიის წევრებისათვის ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების წესი

5. კომერციული დეპარტამენტი

5.2 კომერციული დეპარტამენტის უფროსს ენიჭება უფლებამოსილება:

5.1.1. კომპანიის სახელით ხელი მოაწეროს კომპანიის გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ საფოსტო-საკურიერო მომსახურების ხელშეკრულებებს, რომელთა ღირებულება აღემატება 5000 (ხუთი ათასი) ლარს და მასთან დაკავშირებულ შესაბამის შეთანხმების აქტებს;

5.1.2. კომპანიის სახელით ხელი მოაწეროს კორპორატიულ მომხმარებლებთან გასაფორმებელ ხელშეკრულებებს AVIA მომსახურებით სარგებლობის შესახებ და მასთან დაკავშირებულ შესაბამის შეთანხმების აქტებს;

5.1.3. კომპანიის სახელით ხელი მოაწეროს საფოსტო მარკების რეალიზაციასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებსა და შესაბამის აქტებს;

5.1.4. კომპანიის სახელით ხელი მოაწეროს საფოსტო საკურიერო, საფელდეგერო და საკურიერო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებებსა და მასთან დაკავშირებულ შესაბამის აქტებს;

5.1.5. კომპანიის სახელით ხელი მოაწეროს დეპარტამენტის საქმიანობიდან გამომდინარე სატენდერო დოკუმენტაციას;

5.1.6. არსებული პროცედურების შესაბამისად, მიიღოს კომპანიაში შემოსული წერილობითი კორესპონდენცია, რომლის შინაარსიც განეკუთვნება შესაბამისი დეპარტამენტის კომპეტენციის სფეროს და ხელი მოაწეროს დეპარტამენტის მიერ მომზადებულ გამავალ წერილებს.

